ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული ურთიერთშეთანხმების პროცედურის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების (შემდგომში - საერთაშორისო შეთანხმება) საფუძველზე, „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული ურთიერთშეთანხმების პროცედურის წესის“ (შემდგომში - წესი) შესაბამისად, მოითხოვოს ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყება. ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყება ასევე შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს „დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით საგადასახადო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ“ მრავალმხრივი კონვენციის დებულებების საფუძველზე.

2. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია, მიმართოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს ურთიერთშეთანხმების პროცედურის დასაწყებად, თუ თვლის, რომ საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე ერთი ან ორივე სახელმწიფოს მოქმედება იწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს მისი დაბეგვრა ამავე საერთაშორისო შეთანხმების დებულებების შეუსაბამოდ, მათ შორის:

ა) საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებულ საკითხზე, მიუხედავად იმისა, ითვალისწინებს თუ არა საერთაშორისო შეთანხმება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ან გაეროს (UN) ორმაგი დაბეგვრის სამოდელო შეთანხმების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მსგავს დებულებას;

ბ) მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებულ საკითხზე;

გ) გადასახადის გადამხდელის ორმაგ რეზიდენტობასთან დაკავშირებულ საკითხზე;

დ) გადასახადის გადახდის წყაროსთან დაკავების საკითხზე;

ე) საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებების არასწორად/ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხზე.

3. ამ წესში გამოყენებული ცნებები განმარტებულ უნდა იქნეს შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმების განმარტებების შესაბამისად.

მუხლი 2. ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყება

1. ურთიერთშეთანხმების პროცედურის დასაწყებად გადასახადის გადამხდელმა საქართველოს კომპეტენტურ ორგანოში უნდა წარადგინოს ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყების თაობაზე განცხადება (შემდგომში - განცხადება) ამ წესის №1 დანართით დადგენილი ფორმით.

2. თუ გადასახადის გადამხდელმა, რომელიც არ წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტს, მიმართა საქართველოს კომპეტენტურ ორგანოს ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყების თაობაზე, საქართველოს კომპეტენტურმა ორგანომ უნდა შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს და ერთობლივად განიხილონ მასთან დაკავშირებით გამოსაყენებელი მიდგომის საკითხი.

3. ამ წესის №2 დანართით გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებით საქართველოს კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური.

4. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, კომპეტენტურ ორგანოებს წარუდგინოს თავისი შეფასება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

5. საქართველოს კომპეტენტურ ორგანოში განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, ქართულ ან ინგლისურ ენაზე. განცხადების ინგლისურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მას უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

6. განცხადება გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს საერთაშორისო შეთანხმების დებულებათა შეუსაბამობის აღმოჩენის მომენტიდან სამი წლის ვადაში, თუ საერთაშორისო შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. განცხადების წარდგენა ამ მუხლის პირველი ან/და მე-6 პუნქტების დარღვევით ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია.

8. საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მიერ ამ წესის №1 დანართით დადგენილი ფორმით წარდგენილი განცხადების მიღება განიხილება ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყების თარიღად.

9. ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყება არ წარმოადგენს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების შეზღუდვის საფუძველს.

10. საქართველოს კომპეტენტურმა ორგანომ, ისევე როგორც მეორე მხარის კომპეტენტურმა ორგანომ, ურთიერთშეთანხმების პროცედურას დაქვემდებარებული საკითხი უნდა გადაწყვიტოს საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად.

მუხლი 3. საქართველოს კომპეტენტური ორგანოს ფუნქციები

1. საქართველოს კომპეტენტურმა ორგანომ ამ წესის №1 დანართით დადგენილი ფორმით განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში გადასახადის გადამხდელს და მეორე მხარის კომპეტენტურ ორგანოს უნდა აცნობოს ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყების თაობაზე.

2. ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყებაზე უარის თქმის შემთხვევაში, კომპეტენტურმა ორგანომ გადასახადის გადამხდელს ერთი თვის ვადაში უნდა აცნობოს დასაბუთებული პოზიცია.

3. საქართველოს კომპეტენტური ორგანო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ამ წესის №1 დანართით დადგენილი ფორმით წარდგენილ განცხადებაში აღწერილ საკითხთან დაკავშირებით გადასახადის გადამხდელს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

4. საქართველოს კომპეტენტურმა ორგანომ უნდა შეისწავლოს საკითხი და შეაფასოს მის მიერ ამ საქმის ცალმხრივად გადაწყვეტის შესაძლებლობა (ცალმხრივი ეტაპი). ამ მიზნით კომპეტენტური ორგანო უფლებამოსილია, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან გამოითხოვოს ის ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც მნიშვნელოვანია განსახილველი საკითხის გადასაწყვეტად.

5. თუ საქართველოს კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია ცალმხრივად მიიღოს დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აღასრულოს და ორი კვირის ვადაში წერილობით აცნობოს გადასახადის გადამხდელს.

6. თუ საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შეუძლებელია საქმის ცალმხრივად გადაწყვეტა, მან უნდა შეატყობინოს მეორე მხარის შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს თავისი პოზიცია და დაიწყოს ორმხრივი ან მრავალმხრივი ეტაპი.

7. ურთიერთშეთანხმების პროცედურის ორმხრივი ან მრავალმხრივი ეტაპი წარმოადგენს კომპეტენტურ ორგანოებს შორის მიმდინარე პროცედურას.

8. საქართველოს კომპეტენტურმა ორგანომ, ორი კვირის ვადაში, გადასახადის გადამხდელს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ურთიერთშეთანხმების პროცედურის ორმხრივი ან მრავალმხრივი ეტაპის დაწყების თაობაზე.

9. საქართველოს კომპეტენტურმა ორგანომ, ორი კვირის ვადაში, გადასახადის გადამხდელს უნდა აცნობოს კომპეტენტურ ორგანოებს შორის შეთანხმების მიღწევის (ან ასეთის არ არსებობის) შესახებ.

10. საქართველოს კომპეტენტური ორგანო უფლებამოსილია, მეორე მხარის კომპეტენტური ორგანოსგან გამოითხოვოს მისი პოზიციის ამსახველი დოკუმენტი, თუ ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყების მიზეზს წარმოადგენს მეორე სახელმწიფოს შესაბამისი კომპეტენტურ ორგანოს მოქმედებები ან საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას ფლობს მეორე მხარის შესაბამისი კომპეტენტური ორგანო.

11. საქართველოს კომპეტენტურმა ორგანომ უნდა გაუგზავნოს თავისი პოზიციის ამსახველი დოკუმენტი მეორე მხარის კომპეტენტურ ორგანოს, თუ ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყების მიზეზს წარმოადგენს საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მოქმედებები ან საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას ფლობს საქართველოს კომპეტენტური ორგანო. საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენტური ორგანოები უფლებამოსილი არიან, პოზიციების გასაზიარებლად და მოსალაპარაკებლად გამოიყენონ კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმა.

12. საქართველოს კომპეტენტური ორგანო ვალდებულია დაიცვას ურთიერთშეთანხმების პროცედურას დაქვემდებარებულ საკითხთან დაკავშირებული საგადასახადო საიდუმლოება.

მუხლი 4. გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები

1. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საქართველოს კომპეტენტურ ორგანოს მიაწოდოს სრული და სწორი ინფორმაცია.

2. გადასახადის გადამხდელს უფლება არ აქვს, გაეცნოს კომპეტენტურ ორგანოებს შორის არსებულ შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციას.

3. გადასახადის გადამხდელი არ მონაწილეობს კომპეტენტურ ორგანოებს შორის საქმის განხილვაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე აღნიშნულზე შეთანხმდებიან ხელშემკვრელ მხარეთა კომპეტენტური ორგანოები.

მუხლი 5. ურთიერთშეთანხმების პროცედურის დასრულება

1. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი ურთიერთშეთანხმების პროცედურაზე. უარის თქმით სრულდება ურთიერთშეთანხმების პროცედურა.

2. კომპეტენტურმა ორგანოებმა გონივრულ ვადაში უნდა გაცვალონ დასკვნითი წერილები მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელთაგან ერთში განმარტებული იქნება მიღწეული გადაწყვეტილება (შეთანხმება), ხოლო მეორე წარმოადგენს თანხმობას მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

3. თუ საქართველოს კომპეტენტურმა ორგანომ ვერ შეძლო საკითხის გადაწყვეტა, მან გონივრულ ვადაში წერილობით უნდა შეატყობინოს ამის შესახებ გადასახადის გადამხდელს და დამატებით მიაწოდოს ინფორმაცია დაცვის სხვა სამართლებრივი მექანიზმების შესახებ.

4. საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მიერ ურთიერთშეთანხმების პროცედურა დასრულებულ უნდა იქნეს ამ წესის №1 დანართით დადგენილი ფორმით წარდგენილი განცხადების მიღებიდან 24 თვის ვადაში.

5. საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მიერ ურთიერთშეთანხმების პროცედურის დასრულების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს მისი მიღებიდან სამი თვის განმავლობაში. თუ საერთაშორისო შეთანხმება შეიცავს შესაბამის დებულებას, აღსრულება უნდა განხორციელდეს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადების მიუხედავად, მაგრამ გადასახადის გადამხდელის თანხმობის საფუძველზე.

დანართი №1

განცხადება
ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყების თაობაზე

I. განცხადების წარმომდგენი	
სახელი, გვარი / სახელწოდება	
პირადი / საიდენტიფიკაციო ნომერი	
დაბადების თარიღი/რეგისტრაციის თარიღი	
იურიდიული მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონის ნომერი	
ელექტრონული ფოსტა	
II. ოპერაციის მონაწილე მხარე(ებ)ი	
სახელი, გვარი / სახელწოდება	
პირადი / საიდენტიფიკაციო ნომერი	
დაბადების თარიღი/რეგისტრაციის თარიღი	
იურიდიული მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონის ნომერი	
ელექტრონული ფოსტა	
III. განცხადების წარმომდგენის წარმომადგენელი	
სახელი, გვარი / სახელწოდება, პირადი /	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონის ნომერი	
ელექტრონული ფოსტა	
IV საანგარიშო პერიოდი	
V განსახილველ საკითხთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადა (საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე მხარის/მხარეების შიდა კანონმდებლობის შესაბამისად)	
VI სამართლებრივი საფუძველი (შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმება, კონკრეტული მუხლ(ებ)ის დებულებ(ებ)ის ჩათვლით, რომლებიც გადასახადის გადამხდელის აზრით არასწორად იქნა გამოყენებული ერთ-ერთი ან ორივე ხელშემკვრელი მხარის მიერ)	
VII ფაქტობრივი გარემოებები	

VIII. განცხადების წარმომდგენსა და ოპერაციის მონაწილე მხარე(ებ)ს შორის არსებული ურთიერთობა

IX. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში, დაურთეთ წინამდებარე განაცხადს)	
წინასწარი გადაწყვეტილება	
ოპერაციების შეფასების წინასწარი შეთანხმება	
სასამართლო გადაწყვეტილება	
სხვა	

XI განსახილველ ან მასთან დაკავშირებულ საკითხთან მიმართებით სხვა კომპეტენტური ორგანოსგან მიღებული გადაწყვეტილება (არსებობის შემთხვევაში, დაურთეთ წინამდებარე განაცხადს)	

XII განსახილველ საკითხთან მიმართებით მეორე მხარის კომპეტენტური ორგანოში წარდგენილი განცხადება ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყების თაობაზე (არსებობის შემთხვევაში, დაურთეთ წინამდებარე განაცხადს)	

XIII განცხადების წარმომდგენი პირის პოზიცია განსახილველ საკითხზე	

XIV განცხადებაზე თანდართული საბუთების ნუსხა		
N	დოკუმენტის დასახელება	გვერდების რაოდენობა
1		
2		
3		

XV უფლებამოსილი პირი		
ხელმოწერა	სახელი, გვარი	თარიღი

დანართი №2

ინფორმაცია კომპეტენტური ორგანოების შესახებ

1. განცხადება ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყების თაობაზე, რომელიც არ ეხება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამოდელო კონვენციის მე-5, მე-7 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ საკითხებს, წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე:

საერთაშორისო დაბეგვრის სამმართველო
საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
გორგასლის ქუჩა 16
0105, თბილისი
საქართველო
ტელეფონი: 995 32 2 261355
ელ. ფოსტა: map@mof.ge

2. განცხადება ურთიერთშეთანხმების პროცედურის დაწყების თაობაზე, რომელიც ეხება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამოდელო კონვენციის მე-5, მე-7 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ საკითხებს, წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე:

იურიდიული დეპარტამენტი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური
გორგასლის ქუჩა 16
0105, თბილისი
საქართველო
ტელეფონი: +995 32 2 261 151
ელ. ფოსტა: map@mof.ge

განცხადებაზე უნდა გაკეთდეს აღნიშვნა: „ურთიერთშეთანხმების პროცედურა“.